

მოთხოვნები საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად

1) პენსიის დანიშვნა

"სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე მამაკაცმა, რომელსაც შეუსრულდა 65 წელი, ხოლო ქალმა, რომელსაც შეუსრულდა 60 წელი, პენსიის დასანიშნად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

ასაკით პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- 1) განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- 2) პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;

ასაკით პენსიის დანიშვნის ვადები

გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

პენსიის ოდენობა: **80.00 ლარი**, შრომის სტაჟის დანამატის გარეშე

2. პენსიაზე სტაჟისათვის დანამატის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა;

- განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- შრომის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტები:

1. ცნობა სწავლის შესახებ (დიპლომის ასლი),
2. ცნობა სამხედრო სამსახურში ყოფნის შესახებ,
3. ცნობა ორგანიზაციიდან (სადაც მუშაობდა) გაცემის საფუძვლის ჩვენებით,
4. სასამართლოს გადაწყვეტილება,
5. საარქივო ცნობები.

ასაკით პენსიის ოდენობა: **80.00 ლარი**, რომელსაც ერიცხება შრომის სტაჟისათვის დანამატი:

0-დან 5 წლამდე - 2 ლარი

5-დან 15 წლამდე - 4 ლარი

15-დან 25 წლამდე - 7 ლარი

25 ლიდან ზემოთ - 10 ლარი

იძულებით გადაადგილებული პირებისთვის

იძულებით გადაადგილებულ პირს - დევნილს, რომელიც დოკუმენტურად ვერ ადასტურებს შრომით სტაჟს, დანამატი განესაზღვრება ასაკის მიხედვით, შემდეგი წესით:

დანამატები:

დევნილი მამაკაცებისთვის:

65-დან 67 წლამდე - 2 ლარი;

67-დან 69 წლამდე - 4 ლარი;

69-დან 71 წლამდე - 7 ლარი;

71 წლიდან ზემოთ - 10 ლარი.

დევნილი ქალებისათვის:

60-დან 62 წლამდე - 2 ლარი;

62-დან 64 წლამდე - 4 ლარი;

64-დან 66 წლამდე - 7 ლარი;

66 წლიდან ზევით - 10 ლარი.

3) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პენსიის დანიშვნა

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი აქვს მხოლოდ I ან II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (გარდა ბავშვობიდან ინვალიდებისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა, რომელთაც III ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი აქვთ),სახელმწიფო პენსიის დასანიშნად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

18 წლის ასაკის ზევით შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშვნისათვის:

- განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი (დედანი).

პენსიის ოდენობა: I ჯგუფი - 80 ლარი, II და III ჯგუფი - 70 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლის ასაკამდე პენსიის დანიშვნისათვის:

- განცხადება - (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- მშობლის (მეურვის) პირადობის მოწმობა და ბავშვის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო - სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი.

პენსიის ოდენობა: 70 ლარი

შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშვნის ვადები

გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

4) მარჩენალ დაკარგულთათვის პენსიის დანიშვნა

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, მარჩენალის გარდაცვალების გამო დაენიშნება პენსია. პენსიის დანიშვნა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

შვილ(ებ)ისთვის და ნაშვილები ბავშვ(ებ)ისთვის - 18 წლის ასაკამდე, მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დასანიშნად:

- განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- მარჩენლის გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- მარჩენალდაკარგულის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად.

პენსიის ოდენობა: 55.00 ლარი

დედ-მამით ობოლი ბავშვისთვის - 18 წლის ასაკამდე, მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დასანიშნად:

- განცხადება (სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე);
- მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;

- მარჩენალდაკარგულის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;
- მშობლების გარდაცვალების მოწმობები, ასლთან ერთად;

პენსიის ოდენობა: 55.00 ლარი

მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

5) სახელმწიფო კომპენსაცია და აკადემიური სტიპენდიები:

- ა) **თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები:** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებმა, რომელთაც ამოეწურათ ნამსახურების ვადა, ასევე მათი ოჯახის წევრებმა (შრომისუუნარო მშობელმა, შრომისუუნარო შვილმა, შრომისუუნარო მეუღლემ) მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

ნამსახურეობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურეობის ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);

ნამსახურეობის ვადის ამოწურვისას კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება:

- ა) **55 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **0,75%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- ბ) **55-დან 60 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- გ) **60-დან 65 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1,25%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- დ) **65 წლის** ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1,5%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე.

შენიშვნა: ხელფასი ტოლია თანამდებობრივი სარგოს, წოდებრივი სარგოს და პროცენტული დანამატის ჯამის.

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის დანიშნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურეობის ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს აქტის ამონაწერი;

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება -

ა) მნიშვნელოვნად გამოხატული - სტატუსის დადგენის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ნამსახურეობის 20 წელზე, ნამსახურეობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში "ა" პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 125 %.

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის დანიშნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურეობის ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- მშობლებზე - გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;
- მეუღლეზე- ქორწინების მოწმობა, ასლთან ერთად;
- შვილ(ებ)ზე - დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - გარდაცვლილის კომპენსაციის 75%. ამასთანავე, გარდაცვლილის მუშაობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება კანონით განსაზღვრულ ნამსახურეობის სრულ ვადას. გარდაცვლილის კომპენსაცია ითვლება ისე, როგორც წელთა ნამსახურეობის დროს. "დ" პუნქტით

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასჯელ აღსრულების დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეებმა, რომელთაც ამოწურათ ნამსახურების ვადა, ასევე მათი ოჯახის წევრებმა (შრომისუუნარო მშობელმა, შრომისუუნარო შვილმა, შრომისუუნარო მეუღლემ) მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით. .

ნამსახურების ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურების ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);

ნამსახურების ვადის ამოწურვისას კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება:

- ა) **55 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **0,75%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- ბ) **55-დან 60 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- გ) **60-დან 65 წლამდე** დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1,25%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;
- დ) **65 წლის** ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის **1,5%-ის** ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე.

შენიშვნა: ხელფასი ტოლია თანამდებობრივი სარგოს და წოდებრივი სარგოს ჯამის.

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;

- წელთა ნამსახურების ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს აქტის ამონაწერი;

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება

ა) მნიშვნელოვნად გამოხატული - სტატუსის დადგენის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ნამსახურების 20 წელზე, ნამსახურების სტაჟის მიუხედავად;

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში "ა" პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის 125 %.

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურების ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- მშობლებზე - გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;
- მეუღლეზე - ქორწინების მოწმობა, ასლთან ერთად;
- შვილ(ებ)ზე - დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;

მარჩენალის გარდაცვლის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - გარდაცვლილის კომპენსაციის 75%. ამასთანავე, გარდაცვლილის მუშაობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება კანონით განსაზღვრულ ნამსახურების სრულ ვადას. გარდაცვლილის კომპენსაცია ითვლება ისე, როგორც წელთა ნამსახურების დროს. "დ" პუნქტით

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

მუხლი 6. ანკეტირებისათვის წარსადგენი დოკუმენტები

ვეტერანთა აღრიცხვის სწორად წარმართვის მიზნით ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის

მაძიებელმა შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ა.ა) ყოფილ სსრკ პერიოდში სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული მეორე მსოფლიო ომის შშმკ-ს მოწმობა. მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში საჭიროა წარმოდგენილ იქნას ცნობა კომპეტენტური ორგანოდან დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით;

ა.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და ასლი);

ა.გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

ა.დ) ომის პერიოდში მიღებული ორდენების და მედლების მოწმობები (დედანი და ასლი);

ა.ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი).

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ბ.ა) ყოფილ სსრკ პერიოდში სამხედრო კომისარიატის მიერ გაცემული მეორე მსოფლიო ომის მონაწილის მოწმობა. მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში საჭიროა წარმოდგენილ იქნას ცნობა კომპეტენტური ორგანოდან დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით;

ბ.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და ასლი);

ბ.გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

ბ.დ) ომის პერიოდში მიღებული ორდენების და მედლების მოწმობები (დედანი და ასლი);

გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

გ.ა) ყოფილ სსრკ პერიოდში სოციალური დაცვის განყოფილების მიერ გაცემული “შედავათების უფლების მოწმობა”, მისი დაკარგვის შემთხვევაში, პირმა კომპეტენტური ორგანოდან უნდა წარმოადგინოს ცნობა დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით (დედანი და ასლი);

გ.ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

გ.გ) ომის პერიოდში მიღებული ორდენების და მედლების მოწმობები, (დედანი და ასლები);

გ.დ) შრომის წიგნაკი (დედანი და ასლი) ან ზურგში მუშაობის დამადასტურებელი სხვა საბუთი (დედანი);

დ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა

დ.ა) ყოფილ სსრკ პერიოდში სამხედრო კომისარიატების მიერ გაცემული “შედავათების უფლების მოწმობა”, მისი დაკარგვის შემთხვევაში, პირმა კომპეტენტური ორგანოდან უნდა წარმოადგინოს ცნობა დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით (დედანი და ასლი);

დ.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და ასლი);

დ.გ) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები (დედანი და ასლები);

დ.დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი)

ე) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ინვალიდის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა:

ე.ა) ყოფილ სსრკ პერიოდში სამხედრო კომისარიატების მიერ გაცემული “შედავათების უფლების მოწმობა”, მისი დაკარგვის შემთხვევაში, პირმა კომპეტენტური ორგანოდან უნდა წარმოადგინოს ცნობა

დაკარგული მოწმობის სერიისა და ნომრის აღნიშვნით (დედანი და ასლი);

ე.ბ) სამხედრო ბილეთი (დედანი და ასლი);

ე.გ) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები (დედნები და ასლები);

ე.დ) საბრძოლო მოქმედებების შშმ მოწმობა ან შშმ-ს მიზეზობრივი კავშირის დამდგენი საექსპერტო კომისიის ცნობა (დედნები);

ე.ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი)

ვ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ვ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებები, სამხედრო ტრამვის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს არანაკლებ სამი პირი – ერთი იმავე სამხედრო ფორმირების მეთაურთა შემადგენლობიდან და იმავე სამხედრო ფორმირების ორი თანამებრძოლი (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დეპარტამენტის მონაცემთა ბაზაში). ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (18.06.2009 N 211/5)

ვ.ა.ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა _ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური კომისიის ოქმი;

ვ.ბ) მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნას იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების, საბრძოლო მოკვლევის აქტების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების ასლები და დედნები.

ვ.გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

ვ.დ) სამოქალაქო ავიაციის მფრინავების მიერ საომარი მოქმედების ზონაში სპეციალური რეისების შესრულების დამადასტურებელი საფრენი რუკების დედანი და ასლი;

ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების ინვალიდის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა:

ზ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნებისმიერი დოკუმენტი და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოების ბრძანებები, სამხედრო ტრამვის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). მაძიებელმა ასევე უნდა წარადგინოს საბრძოლო მოკვლევა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს არანაკლებ სამი პირი – ერთი იმავე სამხედრო ფორმირების მეთაურთა შემადგენლობიდან და იმავე სამხედრო ფორმირების ორი თანამებრძოლი (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დეპარტამენტის მონაცემთა ბაზაში). ხელმოწერები დადასტურებულ უნდა იქნეს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (18.06.2009 N 211/5)

ზ.ა.ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა _ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი სპეციალური

კომისიის ოქმი;

ზ.ბ) მოხალისეებზე, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში, წარდგენილ უნდა იქნას იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობების, საბრძოლო მოკვლევის აქტების და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების ასლები და დედნები.

ზ.გ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

ზ.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების შშმპ მოწმობა ან შშმპ-ს მიზეზობრივი კავშირის დამდგენი საექსპერტო კომისიის ცნობა (დედნები);

ზ.ე) სამოქალაქო ავიაციის მფრინავების მიერ საომარი მოქმედების ზონაში სპეციალური რეისების შესრულების დამადასტურებელი საფრენი რუკების დედანი და ასლი;

თ) ომში დაღუპული ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის მოწმობის მაძიებელმა:

თ.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

თ.ბ) მეუღლის შემთხვევაში - ქორწინების მოწმობა (დედანი და ასლი), ბავშვების შემთხვევაში - ბავშვების დაბადების მოწმობა (დედანი და ასლი);

თ.გ) გარდაცვალების მოწმობა ან დაღუპვის შესახებ შეტყობინება (დედანი და ასლი);

თ.დ) თუ პირი უგზო-უკვლოდაა დაკარგული, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოს გადაწყვეტილება პიროვნების უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ (დედანი);

თ.ე) თუ გარდაცვლილი დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით - წარმოდგენილ უნდა იქნას ჯილდოს მოწმობა და ასლი;

თ.ვ) გარდაცვლილის ომში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი (დედანი და ასლი);

ი) სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობის მაძიებელმა:

ი.ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი);

ი.ბ) სამხედრო სამსახურიდან ცნობა, რომელიც ადასტურებს პენსიის/კომპენსაციის მიღების უფლებას წელთა ნამსახურეობით ან შშმპ-ით (დედანი) ან წელთა ნასახურეობით დათხოვნის ბრძანების ასლი;

ი.გ) ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა ამ ფაქტის დადასტურებისათვის სამხედრო ბილეთი და ცნობა ინვალიდობის შესახებ (დედანი და ასლი).

ი.დ) მიღებული ორდენებისა და მედლების მოწმობები ან საუწყებო წარჩინების ნიშნების (დედნები და ასლები);

მუხლი 7. ვეტერანის მოწმობის გაცემა

ვეტერანის მოწმობა კატეგორიების მიხედვით გაცივება:

ა) ომის მონაწილის მოწმობა - "საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ა"-დ, "ვ"-თ" ქვეპუნქტების, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე;

ბ) ომის შშმპ მოწმობა - "საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ"

საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებულ პირებზე;

გ) ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირის მოწმობა – “ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის “ე”, “ი”, “კ”, “ლ”, “მ”, “ნ” (გარდა იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრებისა) ქვეპუნქტებით, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე;

დ) სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობა – “საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ პირებზე;

ე) ომში დაღუპულის ოჯახის წევრის მოწმობა – “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე;

ვ) მარჩენალდაკარგულის მოწმობა – “ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე.

Copyright © 2008 The Social Subsidy Agency. All

გ) უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები

უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურემ, რომელსაც ამოეწურა ნამსახურების ვადა, ასევე მათი ოჯახის წევრებმა (შრომისუუნარო მშობელმა, შრომისუუნარო შვილმა, შრომისუუნარო მეუღლემ) მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

ნამსახურების ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურების ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);

ნამსახურეობის ვადის ამოწურვისას კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება:

ა) 55 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

ბ) 55-დან 60 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

გ) 60-დან 65 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1,25%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე;

დ) 65 წლის ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში - დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 1,5%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე.

შენიშვნა: ხელფასი ტოლია თანამდებობრივი სარგოს და წოდებრივი სარგოს ჯამის.

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურეობის ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი;

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - სტატუსის დადგენის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ნამსახურეობის 20 წელზე, ნამსახურეობის სტაჟის მიუხედავად;

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურეობის ნუსხა;
- ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ;
- ფულადი ატესტატი (ფორმა#1);
- გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;

- მშობლებზე - გარდაცვლილის დაბადების მომობა, ასლთან ერთად;
- მეუღლეზე - ქორწინების მოწმობა, ასლთან ერთად;
- შვილ(ებ)ზე - დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - გარდაცვლილის კომპენსაციის 75%. ამასთანავე, გარდაცვლილის მუშაობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება კანონით განსაზღვრულ ნამსახურობის სრულ ვადას. გარდაცვლილის კომპენსაცია ითვლება ისე, როგორც წელთა ნამსახურების დროს.

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

დ) პროკურატურის ყოფილი თანამშრომლები

პროკურატურის ყოფილმა თანამშრომლებმა, რომლებიც დათხოვნილი არიან საპენსიო ასაკის გამო და პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, აქვთ სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 25 წელი სტაჟი (მათ შორის არანაკლებ 4 წელი პროკურატურაში) კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პროკურატურის სისტემაში მუშაობის სავალდებულო ვადები არ ვრცელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრზე, მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეებზე, თუ მათ აქვთ არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟი და პროკურატურაში სამსახურებრივი უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვთ "პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა", "ბ", "გ" ან "დ" ქვეპუნქტით დადგენილი წესით.

კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- წელთა ნამსახურების ნუსხა;
- ბრძანება პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ;
- ცნობა თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს აქტის ამონაწერი- შესაძლებლობის შეზღუდვის გამო კომპენსაციის დანიშვნის შემთხვევაში;

პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკთა კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - პროკურატურის მუშაკს, თუ მას აქვს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროებისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 25 წლის სტაჟი (მათ შორის, არანაკლებ 4 წლის პროკურატურის სისტემაში), კომპენსაცია ენიშნება მხოლოდ პროკურატურის ორგანოებიდან „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გათავისუფლებისას და მისი ოდენობაა დათხოვნის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე.

შეზღუდული შესაძლებლობის გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - სტატუსის დადგენის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს 1,5%-ის ნამრავლი ნამსახურობის 20 წელზე, ნამსახურობის სტაჟის მიუხედავად;

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

ე) საერთო სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები

საერთო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი, ასევე მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვალების შემთხვევაში მისმა შვილებმა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლემ და შვილებმა (ასაკის მიუხედავად), კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

საერთოს სასამართლოს ყოფილი მოსამართლის კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭრო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- ცნობა დანიშვნის მომენტისათვის მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ნამრავლი საერთო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სტაჟზე.

საერთო სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალდაკარგულის კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭრო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- ცნობა დანიშვნის მომენტისათვის მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შესახებ;

- საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- მეუღლეზე- ქორწინების მოწმობა, ასლთან ერთად;
- შვილ(ებ)ზე - დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;

საერთო სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - საერთო სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში მის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლეს და შვილებს (ასაკის მიუხედავად) კომპენსაცია ენიშნებათ საერთო სასამართლოს მოსამართლის კომპენსაციის 75%-ის ოდენობით, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ მოსამართლის კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა. ამასთანავე, გარდაცვლილის ნამსახურობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება 10 წელს.

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

ე) უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები

უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, სამუშაო ვადის ამოწურვის შემდეგ, ასევე მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში გარდაცვალების შემთხვევაში მისმა შვილებმა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლემ და შვილებმა (ასაკის მიუხედავად), კომპენსაციის დასანიშნად უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის კომპენსაციის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის თანამდებობრივი სარგოს შესახებ
- ცნობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალდაკარგულის პენსიის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის სახელზე;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- გარდაცვალების მოწმობა, ასლთან ერთად;
- ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

- ცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის თანამდებობრივი
- სარგოს შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საჭიროების შემთხვევაში მეურვის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- მეუღლეზე - ქორწინების მოწმობა, ასლთან ერთად;
- შვილ(ებ)ზე - დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად;

მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება - უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში მის შვილებს **18 წლის** ასაკის მიღწევამდე, შრომისუუნარო მეუღლეს და შვილებს (ასაკის მიუხედავად) კომპენსაცია ენიშნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კომპენსაციის **75%-ის** ოდენობით, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ მოსამართლის კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა.

კომპენსაციის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

ხ) სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 50 წელი და აქვს სამეცნიერო ან პედაგოგიური მუშაობის 20 წლის სტაჟი. ამასთან თუ იგი დასაქმებული იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორ-მასწავლებლის ან დამხმარე თანამდებობაზე, ან სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობაზე და 2005 წლის 1 ივნისიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე გათავისუფლდნენ შესაბამისი თანამდებობიდან პირადი სურვილით ან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, სტიპენდიის დასანიშნად აქვს უფლება მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას ფაქტიური საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.

სტიპენდიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება;
- შესაბამისი უწყების წარდგინება;
- პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად;
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.
- დამსაქმებლის ბრძანება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აკადემიური სტიპენდია განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს:

80% ოდენობით - მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის.

60% ოდენობით - მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის.

40% ოდენობით - სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირზე.

სტიპენდიის დანიშვნის ვადა

გადაწყვეტილება სტიპენდიის დანიშვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში მიიღება.

6) სოციალური პროგრამები

სოციალური დახმარება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისთვის ოჯახის წევრმა, ან ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განაცხადის ფორმის **(განაცხადის ელექტრონული ვერსია)** შესავსებად უნდა მიმართოს სააგენტოს რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა, განაცხადის შევსება შეიძლება ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე, სააგენტოს თანამშრომლის ვიზიტის დროს.

განაცხადის ფორმის შევსებისთვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა:

- ოჯახის სრულწლოვანი წევრების პირადობის მოწმობები, საქართველოს მოქალაქის პასპორტები ან ბინადრობის მოწმობები;
- ოჯახის იმ წევრთა დაბადების მოწმობები, რომლებიც განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არასრულწლოვანები არიან (16 წლამდე);
- მეურვეობის, ან მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ან ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, თუ განაცხადება შემოაქვს პირს, რომელიც ოჯახის წევრი არ არის.

"ოჯახის დეკლარაციის" შევსება და სოციალური დახმარების დანიშვნა

სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ (სოციალური აგენტის) ოჯახში ვიზიტისას ივსება "ოჯახის დეკლარაცია" **(დეკლარაციის ელექტრონული ვერსია)**.

დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეს ხელმოწერით ადასტურებს ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი. დეკლარაციის საფუძველზე ხდება ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის მინიჭება.

ქულის მინიჭების შემდეგ ოჯახს ეძლევა "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა"

თუ ოჯახს მინიჭებული აქვს შესაბამისი სარეიტინგო ქულა (არაუმეტეს 57 000), ფულადი სოციალური დახმარება დაენიშნება სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან მეოთხე თვეს.

საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურა ხორციელდება სააგენტოს პასუხისმგებელი პირის ოჯახში ვიზიტისას, შესაბამისი ფორმის დოკუმენტის შევსების შემდეგ.

სოციალური დახმარების არჩევა

სოციალურად დაუცველ ოჯახს უფლება აქვს თავად აირჩიოს ფულადი სოციალური დახმარების ფორმა

თუ ოჯახი იღებს "უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების" სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ფულად დახმარებას (საოჯახო დახმარება), და/ან არის დევნილი და დევნილობის ყოველთვიური შემწეობის მიმღები, სააგენტოს პასუხისმგებელი პირი სოციალური დახმარების დანიშვნის

შესახებ განცხადების შევსებამდე, ოჯახს უხსნის, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოჯახს შეუწყდება საოჯახო დახმარება და/ან დევნილის ყოველთვიური შემწეობა.

ოჯახს აქვს უფლება, აირჩიოს ის სოციალური დახმარება, რომლის მიღებაც მას სურს.

(ინფორმაციისთვის: დევნილის ყოველთვიური შემწეობის სოციალური დახმარებით ჩანაცვლება, არ ნიშნავს დევნილობის სტატუსის მოხსნას)

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს სურს დარჩეს საოჯახო დახმარების და/ან დევნილის შემწეობის მიმღებად, ოჯახის უფლებამოსილი პირი, ავსებს სოციალური დახმარების დანიშვნაზე უარის განცხადებას.

(ინფორმაციისთვის: ოჯახს უფლება აქვს უარის თქმის შემდეგ მოითხოვოს სოციალური დახმარების დანიშვნა. ამ შემთხვევაში სოციალური დახმარება დაინიშნება სააგენტოში მომართვიდან (განცხადების შევსება) მომდევნო თვეს)

ოჯახის განმეორებით გადამოწმების მიზეზები:

- ოჯახის განმეორებითი შეფასების თხოვნის შემთხვევაში, ოჯახის უფლებამოსილმა პირმა უნდა შეავსოს განაცხადის სპეციალური ფორმა

სხვა მიზეზები:

- დემოგრაფიული ცვლილება ოჯახში;
- დასაქმება, ლეგალური შემოსავლის მიღება;
- სამუშაოს/ ლეგალური შემოსავლის დაკარგვა;
- საცხოვრებელი ადგილის ცვლილება;
- დეკლარაციის შევსებიდან გასულია ერთ წელზე მეტი;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- სხვა მიზეზი, რომელიც ადასტურებს ოჯახის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის არსებით ცვლილებას.

ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზები

- ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შეფასებისას, უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ არასწორი (ყალბი) ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, ოჯახის განაცხადი ავტომატურად კარგავს ძალას და ოჯახს ერთმევა უფლება მომდევნო სამი წლის განმავლობაში მოითხოვოს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში;
- ოჯახის ყველა სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრის გარდაცვალება;
- ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმება;
- ოჯახის სარეიტინგო ქულის ცვლილება;
- საარსებო შემწეობის მისაღები სარეიტინგო ქულის ცვლილება.

ფულადი სოციალური დახმარების ზღვრული ქულა

- ფულადი სოციალური დახმარება ენიშნება ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება - **57000**.

ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა

წევრთა რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
დახმარების ოდენობა	30	54	78	102	126	150	174	198	222	246	270	294	318	342	366	390

ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშებისას, არ გაითვალისწინება ოჯახის ის წევრები, რომლებიც მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიუხედავად სოციალური დახმარების დანიშვნისთვის არიან:

ა) სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები, რომელსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

ბ) იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირები;

გ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირები;

დ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამ თვეზე მეტი ვადით წასული პირები;

ე) ინსტიტუციურ დაწესებულებებში და იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, გარდა პირისა, რომელიც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში და მის მიმართ კანონიერ ძალაში არ არის შესული განაჩენი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო დაზღვევა

- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება **70 000**-ს, მოიპოვებენ ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უფლებას.

7) უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარება (საოჯახო დახმარება)

საოჯახო დახმარების გაცემა

საოჯახო დახმარების მიმღებია პირი, რომელსაც დახმარება 2007 წლის 1 იანვრამდე აქვს დანიშნული.

საოჯახო დახმარების მიღება შეუძლიათ იმ ოჯახებსაც, რომელთაც დახმარება 2007 წლის 1 იანვრამდე დაენიშნათ, მაგრამ შეჩერებული აქვთ სხვადასხვა მიზეზების გამო.

საოჯახო დახმარების მიმღები სხვადასხვა კატეგორიის პირები და **სოციალური დახმარების ოდენობები**:

მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა (მარტოხელა პენსიონერი - პენსიონერი ასაკით ან ინვალიდობით) ერთსულიანი ოჯახები - **22** ლარი, ხოლო არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახები - **35** ლარი;

დედ-მამით ობოლი ბავშვები, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ პირზე - **22** ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არამომუშავე, პირველი ჯგუფის უსინათლოები, ერთ პირზე - **22** ლარი;

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ერთ პირზე - **22** ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავს 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები - **35** ლარი.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდში გასაცემი ფულადი დახმარება.

8) დახმარება ინიშნება:

ა) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;

ბ) ახალშობილის შვილად აყვანის გამო.

ანაზღაურებადი შვებულების პერიოდი:

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გეძლევათ შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო - 477 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგან ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების შობის შემთხვევაში ანაზღაურებადია 140 კალენდარული დღე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გადაანაწილოთ ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

იმ შემთხვევაში თუ იშვილეთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გეძლევათ შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

სამუშაო ადგილიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ფილიალში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) საავადმყოფო ფურცელი ასლთან ერთად, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში, შვილების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედნების დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატი);

გ) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი დასაქმებულის/მოსამსახურის პირადი საბანკო ანგარიშის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 6 თვე.

დახმარების გაცემა:

წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე დახმარება გაიცემა სოციალური მომსახურების სააგენტო მიერ.

თანხის ოდენობა:

არა უმეტეს **600 ლარი**.

9) საყოფაცხოვრებო სუბსიდია

"სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის #4 და 2008 წლის 8 აპრილის #91 დადგენილებით სოციალური შეღავათებით მოსარგებლე პირებისათვის დაწესებულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროების ხარჯების გასაწევად ყოველთვიური ფულადი გასაცემელი.

2008 წლის 1 აპრილიდან აღნიშნული საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაიცემა ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიის პენსიონერებზე და პენსიის არ მიმღებ პირებზე, შემდეგი ოდენობით:

თვეში 44 ლარის ოდენობით მიეცემა:

ა) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ინვალიდებს;

ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შშ სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს);

დ) ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებულ პირებს, დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა.

თვეში 22 ლარის ოდენობით მიეცემა:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს;

ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებს;

გ) მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპულ (უგზოუკვლოდ დაკარგულ, გარდაცვლილ) აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების თითოეულ ოჯახს (შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შშსნ მქონე შვილებს, მეუღლეს, რომელიც შემდეგ არ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს);

დ) სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას;

ე) ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს;

თვეში 7 ლარის ოდენობით მიეცემა:

ა) ჩერნობილის ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს და ლიკვიდაციის მონაწილეებს ყოველთვიურად, ხოლო ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისას პენსიის მიმღებ ოჯახს ყოველთვიურად;

ბ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებს, ყოველთვიურად.